ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სახელმწიფო ბიბლიოთეკა ტფილისი

კანონთა და განკარგულებათა კრებული

ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის
მუშათა და გლეხთა მთავრობისა.

1928 წლის იანვრის 1.	№ 24 განყოფილება პირველი	ა/კ. ც. ა. კომიტ. საკანონმდებლო კომისიასთან არსებული კანონთა გამოქვეყნების განყოფილების მიერ გამოცემული.

შინაარსი:

მუხ. 257. თხიერი მინერალური სათბობისა და მცენარეულობის ზეთეულის ცალობრივი გაცემისათვის საწყაოთა ხმარების ნებადართვის შესახებ.

„ 258. იმ მუშებზე, მოსამსახურეებზე და სახელმწიფო პენსიონერებზე, რომელთაც გარეშე შემოსავალი აქვთ, სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წ. ნოემბრის 2-ს დადგენილებით გათვალისწინებული შელავათების გავრცელების შესახებ.

„ 259. ა/კ. რკ. გზ. ადგილობრივი ტარიფის შესახებ ტყიბულის ქვანახშირის გადაზიდვისათვის.

„ 260. სახელმწიფო და ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებებში, საწარმოში და მეურნეობებში სამუშაო ხელფასის გაცემის ვადების შესახებ.

„ 261. საქალაქმიდამო მიმოსვლის თვიური ბილეთების გაცემის წესის შესახებ „26 კომუნარის“ ქარხნის მუშების მგზავრობისათვის ტფილისის სადგურიდან ნავთლუღის სადგურამდე და წინაუკმოდ მუშათა მატარებლებში.

„ 262. პორტლანდის ცემენტის საგასაცემო ფასების შემცირების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სავალდებულო დადგენილება № 23 ა|კსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან არსებული ამიერკავკასიის საუწყებათაშორისო მეტრული კომისიისა

1927 წ. სექტემბრის 8.

257. თხიერი მინერალური სათბობისა და მცენარეულობის ზეთეულის ცალობითი გაცემისათვის საწყაოთა ხმარების ნებადართვის შესახებ.

ა/კ. სახალხო კომისართა საბჭოს 1925 წ. ოქტომბრის 29-ს თარიღისა და 53 №-რის დადგენილების მე-11 §-ის „გ“ პუნქ. შესასრულებლად, თხიერი მინერალური სათბობისა და მცენარეულობის გაცემის ოპერაციების განსამარტივებლად—ა/კსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან არსებული ამიერკავკასიის საუწყებათაშორისო მეტრული კომისია ადგენს:

1) ნებადართულ იქნეს კეროსინისა, ბენზინისა, ამ სათბობთა ნარევისა, მზეუმჭრიტის, სელისა, კანაფისა, ბამბისა და მდოგვის ზეთეულის გაცემის დროს ვაჭრობაში და ორგანიზაციათა და საწარმოთა პრაქტიკაში, საწონთა ხმარებასთან ერთად, მეტრულ საწყაოთა გამოყენებაც.

შენიშვნა. საწყაო უნდა შეესაბამებოდეს საზომ-საწონთა მთავარი სამმართველოს წესებს „საზომთა, საწყაოთა, გირებისა და სასწორთა მოწყობის შესახებ“, რომელი წესებიც გამოქვეყნებულია სსრკ სახალხო მეურნების უმაღლესი საბჭოს 1926 წ. თებერვლის 2-ს თარიღისა და 345 №-რის ბრძანებაში.

2) ნებადართულ იქნეს 1-ლ მუხ. აღნიშნულ საქონლისათვის, წონის ფასებთან ერთად, მოცულობის ერთეულების ფასების დაწესება და შეფარდება, წონის ფასების მიხედვით.

შენიშვნა. მოცულობის ერთეულად მიიღება ერთი ლიტრი და მისი ათეულობითი დანაწილება.

3) მიენდოს ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატს გამოსცეს ერთი თვის ვადაზე ინსტრუქცია ამა დადგენილების შეფარდებისათვის.

აღნიშნული ინსტრუქციით, კერძოდ, განსაზღვრულ უნდა იქნეს თხიერი მინერალური სათბობისა და მცენარეულობის ზეთეულის უკიდურესი რაოდენობა, რაც ერთდროულად საწყაოთი გაიცემა.

ა/კ. საუწყებათაშორისო მეტრული კომისიის
თავმჯდომარის მოადგილე ინჟ. **გუნცაძე.**

ა/კ. საუწყებათაშორისო მეტრული კომისიის
მდივანი **ხარატიანი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1653 №-ში 1927 წ. დეკემბრის 16-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 58 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

258. **იმ მუშებზე, მოსამსახურეებზე და სახელმწიფო პენსიონერებზე, რომელთაც გარეშე შემოსავალი აქვთ, სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წ. ნოემბრის 2-ს დადგენილებით გათვალისწინებული შეღავათების გავრცელების შესახებ.**

სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „ნაკლებად შემძლე მოსახლეობისათვის გადასახადებისა და რენტის ნარჩენისა, ჯარიმისა და საურავის მოხსნის შესახებ“ 1927 წ. ნოემბრის 2-ს თარიღით გამოცემული დადგენილების 1-ლი მუხლის 1-ლი შენიშვნის თანახმად— ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „ნაკლებად შემძლე მოსახლეობისათვის გადასახადებისა და რენტის ნარჩენისა, ჯარიმისა და საურავის მოხსნის შესახებ“ 1927 წ. ნოემბრის 2-ს თარიღით გამოცემული დადგენილების 1-ლი მუხლის 1-ლ შენიშვნაში აღნიშნული შეღავათები გავრცელებულ იქნეს იმ მუშებზე, მოსამსახურეებზე და სახელმწიფო პენსიონერებზე, რომელთაც, აღნიშნული პუნქტით გათვალისწინებული საშემოსავლო წყაროს გარდა, აქვთ სხვა გარეშე შემოსავალი, უკეთუ 1927-28 წელს საშემოსავლო გადასახადით დასაბეგრი მათი შემოსავალი არ აღემატება ერთ-და-ნახევარ დაუბეგრავ მინიმუმს.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **დ. ჰუსეინოვი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ნ. სოკოლოვსკი.**

1927 წ. დეკემბრის 15. ტფილისი —სასახლე.
გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1659 №-ში 1927 წ. დეკემბრის 23-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ა/კ. რკ. გზ. გამგეობასთან არსებული საუწყებათაშორისო სატარიფო თათბირისა.

1927 წ. დეკემბრის 21. № 10.

259. ტყიბულის ქვანახშირის ნოვოროსიისკში და სსრკ შავიზღვის სხვა ნავთსადგურებში გასატანად ტყიბულის სადგურიდან ფოთ-პორტამდე გადაზიდვისათვის არსებული ა/კ. რკ. გზ. 31 (04) №-რის ადგილობრივი ტარიფის ვადის განგრძობის შესახებ.

ტყიბულის ქვანახშირის ნოვოროსიისკში და სსრკ შავიზღვის სხვა ნავთ-სადგურებში გასატანად ტყიბულის სადგურიდან ფოთ-პორტამდე გადაზიდვისა-თვის არსებული ა/კ. რკ. გზ. 31 (04) №-რის ადგილობრივი ტარიფი, რაც განგრძობილ იქნა 1927 წ. დეკემბრის 31-დე და გამოქვეყნებულია გაზეთ „ზარია ვოსტოკა"-ს 1607 №-ში 1927 წ. ოქტომბრის 21-ს, ამა დადგენილებით კვლავ განიგრძობა კიდევ ექვსი თვით, ე. ი. 1928 წ. იანვრის 1-დან ივლისის 1-მდე.

ა/კ. რკ. გზ. გამგეობასთან არსებული საუწყებათა-
შორისო სატ. თათბ. თავმჯდომარის მოადგილე **ტერ-მიქაელიანი.**

საუწყებათაშორისო სატ. თათბ. საქმ. მმართველის
თანამდ. აღმასრ., უფროსი ეკონომისტი **ვერდერევსკი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1660 №-ში 1927 წ. დეკემბრის 24-ს.

დადგენილება № 119 ა/კ/სფსრ შრომისა და ფინანსთა სახალხო კომისარიატებისა.

1927 წ. დეკემბრის 24.

260. სახელმწიფო და ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებებში, საწარმოში და მეურნეობებში სამუშაო ხელფასის გაცემის ვადების შესახებ.

ა/კ/სფსრ შრომისა და ფინანსთა სახალხო კომისარიატები ადგენენ:

1. სახელმწიფო და ადგილობრივ დაწესებულებასა, საწარმოსა და მეურ-ნეობაში სამუშაო ხელფასი მუშათა და მოსამსახურეთ უნდა მიეცეს ყოველი თვის 16-სა და 1-ლ რიცხვში გასული ნახევრისათვის.

შენიშვნა 1. სოფლად, უბნისა, დაირისა და თემის ცენტრის გარეშე, საერთო-საკავშირო ძირეული პროფესიონალური ორგანიზაციის თანხმობით, სამუშაო ხელფასის გაცემა შეიძლება თვეში ერთხელ. ასეთ შემთხვევაში სამუშაო ხელფასი გაცემულ უნდა იქნეს ყოველთვის 20-სა და 25-ს რიცხვს შუა—მიმდინარე თვისათვის.

შენიშვნა 2. უკეთუ ამა მუხლით განსაზღვრული ვადა სამუშაო ხელფასის გაცემისა არა-სამუშაო დღეს მოდის (საერთოდ ან განსაკუთრებულად დადგენილ დასვენების დღეს თუ დღესასწაულში), სამუშაო ხელფასი გაცემულ უნდა იქნეს წინადღეს.

2. ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის ადგილობრივი სალაროებიდან სამუშაო ხელფასის თანხები როგორც ქალაქად, ისე სოფლად მყოფ დაწესებულებათათვის უნდა გაიცეს წინასწარ, იმ ვარაუდით, რომ სამუშაო ხელფასის ფაქტიური გაცემა უზრუნველყოფილ იქნეს 1-ლი მუხლით დადგენილ ვადაზე.

დაწესებულება, საწარმო და მეურნეობა, თავისი მხრით, მოვალეა თავის დროზე მიაწოდოს სამუშაო ხელფასი მუშასა და მოსამსახურეს მუშაობის ადგილზე.

შენიშვნა. ის ასიგნობა, რომლითაც სამუშაო ხელფასი მორიგ შვებულებაში მიმავალ მუშათ და მოსამსახურეთ უნდა მიეცეს, ფინანსთა სახალხო კომისარიატს სალარომ უნდა გაანაღდოს არა უგვიანეს ორი დღისა ამა თუ იმ მუშის ან მოსამსახურის შვებულების დაწყების დღემდე.

3. კრედიტების ადგილებზე გადაგზავნის დაყოვნების თავიდან ასაცილებლად ყველა უწყება მოვალეა თავის დროზე წარადგინოს ფინანსთა სახალხო კომისარიატში სახარჯო განრიგების ნუსხა სამუშაო ხელფასის გაცემისათვის, იმ ვარაუდით, რომ ფინ. სახ. კომისარიატის ადგილობრივმა სალარომ, თავისი მხრით, შესძლოს ასიგნობების განაღდება ამა დადგენილებით დაწესებულ ვადებზე.

ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარი **იაშვილი.**

ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარი **ჰუსეინოვი.**

შეთანხმებულია ა/კ. პრ. კავშ. საბჭოსთან: **იაკუბოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1663 №-ში 1927 წ. დეკემბრის 28-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ა/კ. რკ. გზ. გამგეობასთან არსებული საუწყებათაშორისო სატარიფო თათბირის საგანკარგულებო სხდომისა.

1927 წ. დეკემბრის 26. № 21.

261. საქალაქმიდამო მიმოსვლის თვიური ბილეთების გაცემის წესის შესახებ „26 კომუნარის“ ქარხნის მუშების მგზავრობისათვის ტფილისის სადგურიდან ნავთლულის სადგურამდე და წინაუკმოდ მუშათა მატარებლებში.

„26 კომუნარის“ ქარხნის მუშების მგზავრობისათვის ტფილისის სადგურიდან ნავთლულის სადგურამდე და წინაუკმოდ მუშათა მატარებლებში დაწესებულ იქნეს საქალაქმიდამო მიმოსვლის თვიური ბილეთების გაცემა ამა მიმოსვლის (საქალაქმიდამო მიმოსვლის ტარიფით) განაკვეთების მიხედვით.

მუშების სიას, რიცხვით არა უმეტეს 60 კაცისა, შეადგენს და წარადგენს ქარხნის სამმართველო.

წესი ესე (ტარიფი) შემოიღება შვიდი დღის გასვლის შემდეგ გამოქვეყნების დღიდან და განისაზღვრება ერთი წლის ვადით.

ა/კ. რკ. გზ. გამგეობასთან არსებული საუწყ. სატარიფო თათბირის თავმჯდომარის მოადგილე **ტერ-მიქაელიანი.**

საუწყებათაშორისო სატ. თათბირის საქმეთა მმართველის თან. აღმ., უფროსი ეკონომისტი **ვერდერევსკი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1664 №-ში 1927 წ. დეკემბრის 29.

დადგენილება № 28 ა/კსფსრ ვაჭროგის სახალხო კომისარიატისა.

(სამრ. და სასურ. სქონდის სამმართველო)

1927 წ. დეკემბრის 28.

262. პორტლანდის ცემენტის საბითუმო საგასაცემო ფასების შემცირების შესახებ.

ა/კ. ცენ. აღმ. კ-ტის მიერ „ა/კსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის დროებითი დებულების შესახებ“ 1924 წ. ივნისის 26-ს თარიღით გამოცე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მული დადგენილების მე-3 მუხ. „გ“ პუნ. თანახმად, ა/კ. ვაპრობის სახალხო კომისარიატი, თავისი, 1927 ივნისის 13-ს თარიღისა და მე-5 №-რისა დადგენილების მე-2 მუხ. შესაცვლელად, ადგენს:

1. 163,8 კილო პირტლანდის ცემენტის უკიდურესი საგასაცემო ფასი, ბრუტტო ნეტტოდ, საბითუმო გაყიდვისათვის დაწესებულ იქნეს ფრანკო-ვაგონი — ბათუმში — 7 მან. და 05 კაპ. რაოდენობით — ჩრდილო-კავკასიის სავაჭრო საქციო (საპაიო) საზოგადოებისათვის და 7 მან. და 10 კაპ. რაოდენობით — სხვა სახელმწიფო და კოოპერატიული ორგანიზაციისათვის.

2. ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულმა ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ სათანადო რესპუბლიკაში თვალყური უნდა ადევნოს ამა დადგენილების სისწორით აღსრულებას.

3. ამა დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავე პასუხს აგებს სათანადო რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, როგორც შინა-ვაჭრობის წესების დარღვევისათვის.

4. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა და გავრცელდება ყველა წინად დადებული ხელშეკრულობით გათვალისწინებული პროდუქციის იმ ნაწილზე, რაც ამა დადგენილების გამოქვეყნების დღისათვის ჩაბარებული არ იქნება.

ა/კ. ვაჭრობის სახალხო კომისრის მოადგილე **გაჯინსკი.**

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა
ბიბლიოთეკა

სასოფლო-სამეურნეო და სასურსათო სამმართველოს
უფროსის მოადგილე **მერკუროვი.**

საქმეთა მმართველი **გნატიუკი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1666 №-ში 1927 წ. დეკემბრის 31-ს.